

**პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის  
საქმიანობის ანგარიში**

**საანგარიშო პერიოდი: 2020 წლის იანვარი-დეკემბერი**

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საქმიანობას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით:

- ა) ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვა;
- ბ) უწყვეტი განათლება.

პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით ცენტრის მიზნებია:

ა) მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნაში მონაწილეობის მიღება;

ბ) ინდივიდის პროფესიული განვითარების, შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

გ) საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნების საფუძველზე, 2020 წლის 5 თებერვალს ბსუ-ს აკადემიურმა საბჭომ „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“ დაამტკიცა.

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 თებერვლის N 01-02/23 ბრძანებით დამტკიცდა ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვის მიზნით სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შემადგენლობა. აღნიშნულმა ჯგუფმა კოორდინაცია გაუწია შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების და საჯარო განხილვის პროცესს.

სტრატეგიული დაგეგმვა განხორციელდა არსებული სიტუაციის ანალიზის (SWOT) საფუძველზე.

ძლიერი მხარეები:

- უნივერსიტეტის მზარდი ცნობადობა და ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში;

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება;
- პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული მაღალი დარგობრივი კომპეტენციების მქონე პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი;
- თანამშრომლობა დამსაქმებლებთან და/ან პროფესიულ ასოციაციებთან;
- თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ადაპტირებული გარემო, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისადმი საზოგადოების ინტერესის ზრდა;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი;
- სახელმწიფო დაფინანსება.

#### გამოწვევები:

- საზოგადოების ინფორმირების საშუალებების სიმწირე;
- პერსონალში დარგობრივი კომპეტენციებისა და პედაგოგიური გამოცდილების თანხვედრის სიმწირე;
- დამსაქმებელთა დაბალი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პროცესში;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და პროფესიული სტუდენტების ენობრივი ბარიერი;
- პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მეთოდური ლიტერატურის (განსაკუთრებით ქართულენოვანი) სიმწირე.

#### შესაძლებლობები:

- რეგიონის საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განხორციელება;
- საერთაშორისო საგრანტო პროექტების მეშვეობით დაფინანსების ახალი წყაროების მოძიება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახლება/ახალი პროგრამების შემუშავება;
- პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შემუშავება/განხორციელება.

#### საფრთხეები:

- ადგილობრივ დონეზე პროფესიული განვითარების ნაკლები შესაძლებლობა;
- პროფესიული განათლების სფეროს საკანონმდებლო მარეგულირებელი აქტების ხშირი ცვლა.

ბსუ-ს აკადემიურმა საბჭომ სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები 2020 წლის 12 მარტის N06-01/23 დადგენილებით დაამტკიცა.

თუმცა სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული საფრთხეები არაფერი აღმოჩნდა რეალურად ქვეყანაში 2020 წელს შექმნილ ვითარებასთან. 2020 წელს ქვეყანაში შექმნილმა მძიმე ეპიდემიოლოგიურმა ვითარებამ პროფესიულ სფეროს დიდი ზიანი მიაყენა.

საანგარიშო პერიოდში ბსუ ახორციელებდა 15 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. აღნიშნული პროგრამების ნაწილი მიღწევად რეჟიმში ხორციელდებოდა პროფესიული ჩარჩო დოკუმენტების გაუქმების გამო.

2020 წლის დასაწყისში ბსუ-ს 229 პროფესიული სტუდენტი ყავდა. იგეგმებოდა სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა საგაზაფხულო მიღების შედეგად. თუმცა 2020 წელს პანდემიის გამო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ქვეყნის მასშტაბით საგაზაფხულო მიღება არ გამოცხადებულა, საშემოდგომო მიღებაზე ბსუ-ს 7 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 104 პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა.

დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამების დისტანციურ რეჟიმში განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა. 2020 წლის გაზაფხულის სემესტრში შეჩერდა სასწავლო პროცესი და მხოლოდ რეგულაციების შემსუბუქების შემდეგ, 2020 წლის ივლის-აგვისტოში მოხერხდა პროგრამებზე სასწავლო პროცესის განახლება.

2020 წლის განმავლობაში ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დაასრულა - 53 პროფესიულმა სტუდენტმა.

ამ დროისათვის 14 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 280 სტუდენტი ირიცხება.

სამწუხაროდ, 2020 წლის შემოდგომაზე პანდემიის მეორე ტალღამ კვლავ შეაფერხა სასწავლო პროცესი. მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკამ არ მოგვცა სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის საშუალება.

მხოლოდ 2020 წლის საშემოდგომო მიღების სტუდენტებთან (7 პროფესიული პროგრამა, 104 პროფესიული სტუდენტი) მოხერხდა სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვა. რაც ცენტრისთვის გარკვეული გამოწვევა იყო. ცვლილება

შევიდა პროგრამების სასწავლო გეგმებში, დისტანციურად წარიმართა მხოლოდ თეორიული მოდულები. ჩატარდა შეხვედრები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ტექნიკური საშუალებების ფლობის, ინტერნეტის, Zoom ელექტრონული პლატფორმის გამოყენების უნარების შემოწმების მიზნით. ყველა მასწავლებლისა და სტუდენტისათვის შეიქმნა ბსუ-ს ელექტრონული ფოსტა და დაეგზავნა Zoom პლატფორმის გამოყენების ინსტრუქცია.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის შეჩერებამ გარკვეულად იმოქმედა ფინანსებზეც. კერძოდ:

2020 წლის I კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩამოირიცხა 135 841.63 ლარი;

II კვარტალში - 138 841.60 ლარი;

III კვარტალში - 229 394.39 ლარი;

IV კვარტალში - 11 724.89 ლარი.

**ჯამში: 515 802.51 ლარი**

შემცირდა სახელფასო ხარჯებიც. კერძოდ, 2020 წლის 1 იანვრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით პროფესიული განათლების მასწავლებლებზე გაცემულია **138 894 ლარი**. დაახლოებით 30 000 ლარი გასაცემია ნოემბერ-იანვარში ჩატარებული საათებისთვის.

პანდემიით გამოწვეული სირთულეების მიუხედავად, ცენტრის პერსონალის მაქსიმალური ძალისხმევით ფასად, უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მიმართულებით ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანები შესრულდა.

წარმოგიდგინებ პროფესიული განათლების მიმართულებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების ერთწლიანი (2020 წელი) გეგმის შესრულების მიზნით ცენტრის კოორდინაციით განხორციელებულ აქტივობებს:

- ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებაზე ზრუნვის მიზნით და ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილებები შევიდა „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში“;

- საანგარიშო პერიოდში ბაზრის კვლევის საფუძველზე ცენტრმა კოორდინაცია გაუწია შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებას:

- საფინანსო სერვისები;

- ბუღალტრული აღრიცხვა;
- მებაღეობა;
- სატყეო საქმე;
- ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა;
- საბიბლიოთეკო საქმე;
- მეფუტკრეობა.

საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შვიდივე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება მიანიჭა;

- მომზადდა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარედგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების დოკუმენტი;
- საგანმანათლებლო პროგრამების „მებაღეობა“ და „სატყეო საქმე“ განსახორციელებლად საჭირო რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით ცენტრის პერსონალმა საგრანტო განაცხადი წარუდგინა გაეროს განვითარების პროგრამას. შედეგად, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „პროფესიული გადამზადებისა და ექსტენციის თანამედროვე სისტემების დანერგვა საქართველოს სოფლის მეურნეობაში“ პროექტის ფარგლებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „მებაღეობა“ და „სატყეო საქმე“ განხორციელებისათვის დაახლოებით **100 000 ლარის** ღირებულების სასოფლო-სამეურნეო და კომპიუტერული ტექნიკა გადაეცა;
- საანგარიშო პერიოდში ცენტრი სისტემატურ მონიტორინგს უწევდა ახალ სასწავლო კორპუსში სამშენებლო პროცესების მიმდინარეობას; სასწავლო ფართის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობის მიზნით შემუშავდა შენობის ინტერიერის და ავეჯის დიზაინი;

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჟურნალისტიკისა და ინფორმაციის პროფესიული დარგობრივი საბჭოს წევრი გახდა ირინე ცინცაძე - ბსუ-ს ასისტენტ-პროფესორი, პროფესიული განათლების მასწავლებელი.

- პანდემიის და შეზღუდვების მიუხედავად, ცენტრმა გარკვეული მუშაობა გასწია უწყვეტი განათლების მიმართულებითაც. კერძოდ, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, ხელი მოეწერა

საგრანტო ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მიიღებს დაფინანსებას საქართველოს საჯარო სკოლებში მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად.

ოთხწლიანი პროგრამის ფარგლებში ბსუ-ს ტრენერები პროფესიული განვითარების მრავალფეროვან აქტივობებს ჩაატარებენ. USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელშეწყობით აჭარისა და გურიის რეგიონის სკოლებში მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომები დაინერგება. სკოლის მოქმედი მასწავლებლები და დირექტორები შეძლებენ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების წარმართვას, ხოლო ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პერსონალს, მომავალ მასწავლებლებს და განათლების სფეროს მომავალ ლიდერებს გამოუმუშავებთ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების და ლიდერობის უნარები. ბსუ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გადამუშავების საფუძველზე უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სტრატეგიების, დიფერენცირებული მიდგომების, განმავითარებელი შეფასების, გენდერული თანასწორობისა და ინკლუზიურობის პრინციპების გათვალისწინებას პროგრამის ყველა კომპონენტში.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის მონაწილე პროფესორ-მასწავლებლებმა გაიარეს ტრენერთა ტრენინგი, სადაც ისინი გაეცნენ ახალი სკოლის მოდელს, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლების ძირითად საკითხებსა და სხვა აქტუალურ სიახლეებს.

2020 წლის ნოემბერ-დეკემბერში პროგრამის ფარგლებში, ბსუ-ს პერსონალის მონაწილეობით ტრენინგები ჩატარდა აჭარის რეგიონის 229 და გურიის რეგიონის 97 საჯარო სკოლის ყველა დირექტორს და თითოეული სკოლის დაწყებითი კლასების ლიდერ მასწავლებლებს (სულ 978 მასწავლებელს).

როგორც ტრენერთა ტრენინგი, ისე დირექტორთა და ლიდერ მასწავლებელთა ტრენინგები ონლაინ რეჟიმში ჩატარდა.

USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ძირითადი მიზანია მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების ძლიერი ინსტიტუციების ჩამოყალიბების ხელშეწყობა როგორც დედაქალაქში, ისე საქართველოს რეგიონებში. რვა უნივერსიტეტი და ორი არასამთავრობო ორგანიზაცია, პროგრამის ექსპერტული მხარდაჭერით, მომავალი 4 წლის განმავლობაში, შექმნიან და დაამუშავებენ მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა მოსამზადებელ და პროფესიული განვითარების პროგრამებს, მომზადდება ტრენერთა გუნდები, რომლებიც თავიანთ რეგიონებში შექმნიან ადამიანური რესურსების ძლიერ ბაზას. პარტნიორი უნივერსიტეტები და არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს ყველა სკოლაში ჩაატარებენ ტრენინგებსა და ვებინარებს, ქოუჩინგს გაუწევენ სკოლის დირექტორებსა და ლიდერ მასწავლებლებს ახალი სკოლის მოდელის დანერგვასა და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებაში.

ფსიქოლოგიის მიმართულებით ცენტრის საკოორდინაციო საბჭომ დაამტკიცა მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა „მედიაცია“. პროგრამა 60 კრედიტიანია და მისი მიზანია საქართველოში მედიაციის განვითარებისთვის ხელის შეწყობა. ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომელსაც ექნება კომპეტენცია ხელი შეუწყოს დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარებას. პროგრამაზე მიღება უკვე გამოცხადდა.

ცენტრის ორგანიზებით ბსუ-მ მონაწილეობა მიიღო სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის მიწოდების მსურველი ორგანიზაციების შესარჩევ კონკურსში. კონკურსის შედეგად ბსუ-ს უფლება მიენიჭა განახორციელოს „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული“ საქართველოს მასშტაბით, ბსუ-ს პერსონალისგან შეირჩა 5 ტრენერი, ხოლო უნივერსიტეტს გადაეცა „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული“. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შერჩეულ ტრენერებს ჩაუტარა ტრენინგები.

რაც შეეხება უცხო ენების პროგრამული მიმართულების მოკლევადიან პროგრამებს: ცენტრს არ შეუწყვეტია ამ მიმართულებით მუშაობა, ინგლისური ენის შემსწავლელი ჯგუფების ნაწილმა 2020 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში, პანდემიის პირობებში დაასრულა დაწყებული პროგრამა და მსმენელებზე გაიცა სერტიფიკატებიც.